

ქ.თბილისი

2019 წლის 26 თებერვალი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2019 წლის 26 თებერვალს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ლაშა მაჭავარიანი, სულხან სულხანიშვილი, ლევან ჩიკვაიძე, აკაკი კერესელიძე, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშუაგობრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, ამა წლის 16 თებერვალს, I ლიგის მატჩზე, ახალციხის „ტაო“-სა და ფოთის „ივერია კოლხი რაინდები“-ს შორის, ფოთის „ივერია კოლხი რაინდები“-ს არგამოცხადების შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. ამა წლის 16 თებერვალს, I ლიგის მატჩზე, ახალციხის „ტაო“-სა და ფოთის „ივერია კოლხი რაინდები“-ს შორის, ფოთის „ივერია კოლხი რაინდები“ არ გამოცხადდა თამაშზე.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.11 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ფოთის „ივერია კოლხი რაინდებს“ ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს ერთი საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 5000(ხუთასი ათასი) ლარით. ხოლო მოწინააღმდეგე გუნდს ჩაეთვალოს ბონუსქულიანი მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 29 მარტამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ფოთის „ივერია კოლხი რაინდები“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/